

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეზე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисѣ. Въ редакцію „Дროэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა — 8 მ., ნახევარ წლისა — 5 მ., ხ. მისთვის — 3 მ., ერთისთვის — 1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა: დიდ ქაღალდით ასოზე 1 კაპიტალი, მცირე ქაღალდით — 5 კაპიტალი.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ოთხი თვის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

მიიღება რედაქციაში — ბაღის საღვინოს) ქუჩაზე ბ. შადინოვის სახლში, № 33

შალაქს ვარეზე მცხოვრებთა ამ აღრისით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисѣ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

ფასი ოთხი თვის გაზეთისა, ე. ი. 1 სექტემბრიდან წლის დამთავრებამდე, გაზეთისთვის — სამი მანეთი.

ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

გულბრადი, 17 ოქტომბერს. სერბიის პირველ მინისტრმა რისტინმა და ჩრდილოეთ-აქერიკის შტატების ელჩმა მოაწერეს ხელი ვაჭრობითს პარობაზე ამ ორ სახელმწიფოს შუა. სერბიის სინოდმა გამოაცხადა სერბიის ეკლესიის და-

მოუკიდებლობა; იმას აქვს განზრახვა, რომ სერბიის პრინციპად (საეკლესიო უწყების უფროსად) დანიშნოს სერბიის მიტროპოლიტი მიხაილი.

სოქია, 17 ოქტომბერს. ღღეს სახალხო კრება (პარლამენტი) არ შესდგა, რადგან საკმაო დეპუტატები არ მოვიდნენ.

საქართველო

თავმჯდომარის მოვალეობა და მამა ღამბაშიძე

ძნელია დიდი ყრილობის თავმჯდომარეთ ყოფნა; მაგრამ თუ ეს ყრილობა არის შემდგარი სხვა-და-სხვა ტემპერამენტისა, სხვა-და-სხვა პარტიებისა და ინტერესებისაგან, თუ ყრილობაში დებულობს მონაწილეობას ისეთი პირები, რომლებიც რიგიანი ყრილობის წესს არ არიან დაჩვეულნი, მაშინ თავმჯდომარის ვალი უფრო დიდია და იმისი საქმე უფრო ძნელი. იმას, ამ შემთხვევაში,

სჭირია დიდი გამოცდილება, ბევრი მოთმინება, მაგარი და გადაწყვეტილი ხასიათი, ჩქარი მოსაზრება და, სულ ყველა ამეგზე უფრო, იმ წესისა და რიგის დაცვა, რომლებიც, თუ თავმჯდომარის მოვალეობის გაგებით არა, გაგონებით მაინც უნდა იცოდეს და მიბაძეთ მაინც ასრულებდეს ყველა, ვისაც ყრილობა მისცემს თავმჯდომარის მაღალ ადგილს.

თავმჯდომარის მოვალეობა დიდია ყრილობის წინ, მართალია, მაგრამ თითონ ის, რაც უნდა ქნას ამ თავმჯდომარემ ყრილობაში, არ არის მაინც და მაინც ძნელად შესათვისებელი და თავსახეთქი. თავმჯდომარემ უნდა გახსნას ყრილობის სხდომა, უნდა მისცეს ამ ყრილობას ის წინადადება, რომელიც წინ და წინ არის დაწერილი, ან შემოტანილია დამზადებულათ სხდომის დროსვე რომელიმე წევრისაგან, და შემდეგ, როდესაც ყრილობა განიხილავს ამ კითხვას და ხმის უმრავლესობით დასდებს რაიმე განჩინებას, უნდა ეს უმრავლესობის სურვილი გადითანოს ქალაქზე, დასწეროს პროტოკოლი. მა არის მისი დანიშნულების აღფა და ომეგა. სხდომის გახსნით იწყება მისი მოქმედება და პროტოკოლის შედგენით თავდება. ამ მოვალეობის ასასრულებლათ კა-

ფულბონი

ანისტიან *).

(წერილი პ რიუილამ)

წარსულ ზამთრის მიწურულში მაკ. მაჰონი გადადგა თავის ადგილიდან და დაუთმო პრეზიდენტობა ბრევის ყოველი რესპუბლიკელის სასიხარულოთ. მთელმა პარიჟმა თავისუფლად ამოიხეინება, რაღაც ჭკპან-საწყვეტი ტვირთი მოიხსნა სევილიანმა, დაჩაგრულ-გულმა გაიღიმა, თავისუფლების სიო მოიხსნა, რესპუბლიკა დადგა შეურყეველ ნიადაგზე; სურვილს და იმედს ფრთები გამოავსა; რვა წლის აქეთ-იქით რწევის შემდეგ ბეწვის ხილზედ შესაგეს ფენი რესპუბლიკაში...

ღვუტატთა ძრება თითქმის მთლათ რესპუბლიკელებისაგან არის შემდგარა.

*) რაზე შეცოდების დავიწყებაში მიცემა, პატიება.

სენატის უმეტესობა რესპუბლიკელია. პრეზიდენტიც წმინდა რესპუბლიკელია ოპორტიუნისტებს (ცინც შესამება დროთა-მოთხოვნილებას და არა სასტიკ პრინციპს) დარჩა ბურთი და მოედანი;

მაგრამ მასთანავე მიძიე რამ ტვირთი: შეკრება და მკურნალება იმ დავარდნილთა, რომელნიც თავდაუზოგველათ ამ მოედნისათვის ებრძოდნენ, და მემრე თვით იმ მაედნის ბალახბულახისაგან განწიქნდილისათვის. მათ ესლა სხუმინდულათ აღარ შეეძლოთ ლაპარაკი „მოუთმენელთან...“ „ჯერ ჩვენ ჩვენ ფხებზედ ვერ დავმაგრებულვართო, ყველანი ორმოს გვითხრიანო, თავი უნდა მოვამკედარუნართო, რომ ჩვენი ქვეყანა არ შევაშინართო.“ მხლამათ თავი უნდა გამოეჩინათ, ემოქმედებინათ.

შუუდგენ მოუხერხებლათ თავის საქმეს — მოედნის გახწმენდასა და დავარდნილების მკურნალებასა. მერც ერთი და ვერც მეორე დარსულათ ვერ ვადაწყვიტეს, მთელი პარიჟის აზრით. 16 მაისის რაინდები ბოლო და კოჰპანია (მინისტრი და მისი ამალა, რომელთაც

უნდოდათ, მაკ-მაჰონის შემწეობით, ისევ მონარხიის დაწესება) დარჩენ დაუსჯელი, ნაპატივები. პარამუნაში მონაწილეობის მიმდებნი-კი, რომელთ შემწეობითაც დაარსდა რესპუბლიკა, რვა წლის ტანჯვისა და ჯოჯოხეთურ-წვალების შემდეგ ახალ პარლამენტიში და უცხო ქვეყნებში, არ იყვნენ ნაპატივები სულმთლათ. მრთი ნაწილი მათგანი იყო ნაცნობი მართებლობისაგან საზოგადოების მტრათ; აი ამათ არ აპატიეს. საფრანგეთმა ეს არაფრათ იჭაშნიკა, და თავის უკმაყოფილების დასამტკიცებლათ ამოიჩნია ბორდოში დეპუტატათ ბლანკი, შესანიშნავი რევოლიუციონერი, რომელმაც ნახევარზედ მეტი თავის სიცოცხლისა, ესე იგი 40 მეტი წელი, საპრობილემოდ იყო ამ დროს. მართებლობამ არ იცნო ეს გამოკვლევა კანონიერათ და დაარღვია. მართებლობა იძულებული იყო გამოეხსნა ბლანკი ტუსალობისაგან. ბორდოელებმა ცოტა ხანს უკან კიდევ უყარეს იმას კენჭი და ცოტა არ იყო კენადამ მეორედ არ გამოიჩინეს. ბაიშართა ხელის-მოწერა ნაპატივების



ნონიკრაა შედგენილი ყრილობის თავ-
მჯდომარემ სხდომაში აღძრული კითხვე-
ბის რიგინათ გამოკვლევისთვის:

უნდა იცოდეს მოქმედი კანონები
შესახებ ამ კითხვებზე,

უნდა მოუყაროს თავი ყველა იმ
ჰაზრებს, რომლებიც ითქმება ამ სხდო-
მაზე შესახებ ამავე კითხვებზე, უნდა
შეათანხმოს ეს აზრები ერთმანერთთან,
რამდენადაც ეს შეიძლება, და სათანადო
კალაპოტში ჩასმული, ე. ი. რიკიანის
სიტყვებით გამოხატული, ეს სხვა და
სხვა ჰაზრები ისევ დაუბრუნოს ყრილო-
ბას ერთი იმათგანის ამოსარჩევად და
შესაფერი განჩინების დასადებლათ;

ბოლოს, როდესაც საზოგადოება მი-
იღებს ან ერთს და ან მეორე ჰაზრს,
უნდა დასწეროს მაშინვე განჩინება და
წაუყითხოს ყრილობას, რომ ბოლოს,
ოთხი-ხუთი დღის შემდეგ, სხდომის გა-
თავების დროს, განჩინების რედაქციის
წაიკითხვამ არ ასტეხოს უთანხმოება და
არ შეიქნეს საჭირო კითხვის ხელ-ახლა
განხილვა.

შესახებ სხდომის რიგინათ წაყვანისა
და წევრების უფლების დაცვისა, რიგინა-
მა თავმჯდომარემ:

უნდა გაუყონოს (და გააგონოს ყრი-
ლობას) სულ ყველაფერი, რისიც თქმა
უნდა იმ მოლაპარაკეს, რომელსაც სი-
ტყვა უთხოვნია მისთვის, რასაკვირველია,
თუ ეს მისი სიტყვა ეხება სხდომაში
განსახილველ კითხვებს;

უნდა არ დაიფიქროს, რომ მიგან-
ნება-დაურთველად არავის არ შეუძლია
ჩამოართვას სიტყვა ამ მოლაპარაკეს;

უნდა ახსოვდეს, რომ როდესაც (რო-
გორც ეს ხდება ხშირათ ჩვენებურს
ყრილობაში) ყრილობას არ მოეწონება
რომელიმე ორატორის სიტყვა და ატყდებ-
და ერთი ვაი-ვაგლახი და აღიქვითი,

იმან ან უნდა დააწყნაროს ეს ხმაურობა
და შეაგონოს ყრილობა, რომ მოუსმინ-
ოს სხენებულ ორატორს და მათ და-
იცვას მისი უფლება, როგორც ყრილო-
ბის წევრი, ან თუ ყრილობა ახირდება
და თავისას არ დაიშლის, დახუროს მისი
სხდომა ან სულ და ან დროებით;

უნდა ახსოვდეს, რომ ყოველ წაირო
სისუსტე ამ წესის ასრულებას დარღვე-
ვაში, ყოველწაირო დათმობა ხმაურობისა
და ქუჩების წინაშე აქცირებს მისს
ზნეობით ავტორიტეტს ყრილობაში და
ენებს თითონ კითხვების ყოველ წაირო
გაშინჯვას და ჭეშმარიტებას შეტყუბას;

უნდა იცოდეს, რომ ხმაურობისა და
ყაყანის შესაყენებლათ იმან აქვს ზარა,
სიტყვის ჩამოთქმვის ნება, რიგინათ
თავის დაქვრის მოთხოვნა (ПРИЗЫВЪ КЪ
ПОРЯДКУ), ცუდათ ქვეყანა პრატიკოლ-
ში ჩატანა და სხვ. და სხვ.

შესახებ თავის ძაგალოებისა იმან
უნდა იცოდეს, რომ მისი საქმე ყრილო-
ბაში უფრო პასიურა არის, ვინემ აქ-
ტიური. იმას შეუძლია არ მისცეს ნება
ყრილობას, რომ იქონიოს სჯა იმ კით-
ხვებზე, რომლებიც, მისის ჰაზრით, არ
არის ყრილობის საქმე, მაგრამ თუ ერთ-
ჯერ კითხვა ავშვა, მაშინ იმან თავისი
შეხედულება ამ კითხვაზე უნდა დამა-
ლოს თავის ზარის ქვეშ. თავმჯდომარე
საწონია, რომელმაც უნდა ასწონოს
ყრილობის ჰაზრი და შეამოწმოს რა-
მელი მხარე უფრო მეტს იწონის; იმას
აკრძალული აქვს დააწვეს თავის ავტო-
რიტეტით ერთ რომელსმე მხარეს ისე,
როგორც აკრძალული აქვს ყველა მი-
წერიშაღეს დაჭიროს თითები იმ მხ-
არეზე, საცა გირვანქიანები აწყვიტა საწონ-
ზე როდესაც მამბეტა ამოიჩინეს პა-
ლატის თავმჯდომარეთ ბევრს მისა მე-
გობარს დარჩა ეს საწყენათ. იმათი ფიქ-

რით, მამბეტა, როგორც უნდა იქნე, იმ
ამ ამოჩენით, დაეკრება თავი თავის
ტირებუნას; იმასი ყოველს შემბრებელს
ენა მიება იმ ზარის ენას, რომელიც
ერთად იმასთან მარტო აჩუმებს ატეხილ
ყრილობას.

მა არის ის რიგი და წესი თავ-მჯდო-
მარისთვის, რომელიც მოგვივიდა ჩვენ
მენსიერებაში ამ აჩქარებული სტატიის
დაწერის დროს და რომელსაც ჩვენ
ზეგით ვლახარაკოდით. ჯერ კიდევ აზ-
რილის დამდეგს ვაპირებდით ამ საგანზე
წერას, მუთაისის თავდაზნაურთა ყრი-
ლობის შთაბეჭდილების ქვეშ, მაგრამ
მაშინ როგორღაც მიკვრია და ძაგ-
ვაფიწყდა ეს; ესლა კი, შეძვედ წარსული
კვრის სამღვდლოებას ყრილობისა და
იმის თავ-მჯდომარის გუშანდელის წე-
რალია „დროებაში“, ჩვენ არ შეკვიძ-
ლია არა ვსთქვათ რამდენიმე სიტყვა
ჩვენებურა თავ-მჯდომარეებზე და იმათ
მნიშვნელობაზე.

თუ ძალიან გაცხარებულ მოქმეტი
არ აიღეთ ჩვენი საზოგადო სხდომები-
დამ, ჩვენი ყრილობა ადული დასაყა-
ლებელია. პატიოსანი და ჭკვიანი თავ-
მჯდომარე, რომელიც ხელოვნურად
წაყვანს საქმეს, ადვილათ მიადებენს
ამ ყრილობას ყოველ წაირო სასარგებლო
და კეთილ-შობილურ აზრს. ასე რომ,
ჩვენი აზრით, თუ ყრილობამ არ შეიწ-
ყნარა რამე საზოგადოებასთვის გამოსა-
დგვი წინადადება, ამაში დანაშაუვე ყრი-
ლობა კი არ არის, თითონ თავ-მჯდო-
მარეა. იმან ვერ ამოარჩია კარგი დრო
ამ წინადადებისთვის: ან ვაჯავრებულ
გულზე იყო ყრილობა იმის წინადადების
დროს, ვისმეს ლაპარაკი არ აცალა თი-
თონ თავ-მჯდომარემ, ან ხმაურობას და-
ყვა, ან უდროვოდ-დროს დახურა სხდომა
და სხვა-და-სხვა. ცხადია, მამასადამე, რომ

შესაწყენათ; მიქტორ ჰუგომ და ლუი-
ბლანშა იკისრეს მოთავობა, გამართეს
კონფერენციები, შექცევები და გაზე-
თებში ხელის-მოწერითა დიდძალი ფუ-
ლი შემოსდიოდათ. შექცევებისა და
გაზეთებისაგან ხელ-მოწერის გამართვის
შემდეგ სთვლიდენ ფულებს ათი ითა-
სობით. ამასთანავე გაიძარტა მეორე
კომიტეტი სოციალისტებისა, რომელიც
იყო დანიშნული შესაწყენათ არა თუ
მარტო გაშინსტი ებულთათვის, არა-
მედ ამინსტიას მოკლებულთათვისაც.
შოველ დიდსა და პატარა ქალაქებში
დაარსდა კომიტეტები და ფულის კრება.
შოველგან დიდის თანაგრძობით და
სიყვარულით მოეკიდნენ ამ საქმეს.

ამ დროს მოაწია პირველმა გემმა
ახალი კალედონიიდგან. ნაპატიებთა
შემოადგეს ფენი ასე დიდხანს მოკლე-
ბულ სამშობლო მიწაზედ. ტელეგრამა
ტელეგრამაზედ დაწერილებით სწერდა—
თუ რა მხურვალებით და სიყვარულით
ხედებოდა ხალხი ვზაზედ კალედონი-
დამ დაბრუნებულთ: შოველგან გაშ-
ლილი სუფრები, საქმელ-სასმელი, ტანთ
საცმელი და ფული ხედებოდათ. ძმური

სალამი და კიენია: „მ. უმარჯოს გამინი-
სტიებულთ! მათმარჯოს, გაუმარჯოს—
სრულს და უნაკულლო ამინსტიას!“
მათთვის საკუთრივ მთელი ეტლი რკი-
ნის გზასა იყო დანიშნული.

მეორე დღეს სალამოს უნდა მოეყვანა
რკინის გზას რამდენიმე ხნის ნატანჯი
ხალხი ამ მრავალ-გზის მუშა-ხალხის
წმინდა სიხლით მოსვრილ და შედე-
ბულ ქალაქში, ამ ისტორიის კვანძში—
პარიჟში. დიდი ხნით წინეთ დანიშნულ
ვადამდი მოასკდა ხალხი სტანციასზე.
რკინის გზის მატარებელმა დაიგვიანა.
დრო მიზბოდა და მატარებელი არსაიდ
ჩანდა. დიდი უკმაყოფილების ბუდბუტი
ისმოდა. ხალხი დაიშალა; მაგრამ რამო-
დენიმე ათასი მაინც დარჩა; მთელი
ღამე ზეზეულათ გაატარეს და პირველ
მზის შუქმა რო ჰკრა, მოაწია მაშინ
მატარებელმა. ხალხი აღტაცებას სამს-
ღეარო არ ჰქონდა. შევლამ მიაშურა
მათკენ, მაგრამ ყველა იაუწყდა ხმა,
დაება ენა. რა სანახავი წარმოუდგათ
იმათ მათ თვალ-წინ მათი ზეზეულ
იყენენ მკედრები, ღანტეს ჯოჯოხეთიდ-
გან გამოყვანილნი. არაერთარი ნიშანი

ვერობიელი კაცისა მათ აღარ ჰქონდათ.
პარიჟის ხალხი მუდამ ლაზათიანათ
ჩაცმულ-დახურულ სხარტი, მოქნილი,
ტოცხალი, შნოიანი-რა სურათა წარ-
მოადგენდა ესლა? წაჭკარტლული, თუ-
ჯის ფერათ, უდროვოთ დაბერებულს,
ყმაწვილები დაჭლერქებულები, მოხუ-
ცებულ ოთხ წაიროთ წელში გახრილი
და ილაჯ-გაწყვეტილი, — დასაჯავებული
ქალები, ბოვებები უმოძრავო და უძლუ-
რი; ყველანი ძონძებში გახვეული თავის
ბოხნა-ბუხნებით, კალთაებით. შევლას
თითქმის ესვა ბეჭედი განუაზღვრელი
ტანჯვისა. მითქო ყველამ იგრძნო თა-
ვის დინაშაულობა, ყველა დაღრემილი
სახით უტყერდა მათ, ზოგი თითქო შენ-
დობას სთხოვსო; იმათ ეხვეოდნენ,
კოცნიდნენ, ტიროდნენ. — პი ვაატარეს
მოხუცებული მხრებში შებჯენილი; უძ-
ლური ძალი ხელ-და-ხელ აყვანილი
მიჰყავთ. უცრად განუაზღვრელი გუ-
ლის ტკივილის ძოთქმა მოისმა... დედა
გადახვევია ახლო მასულ 23 წლია
შვილს და ჩაქნესის მას.

(დასასრული შემდგომი)

თავმჯდომარეს ამ ნაირ ეჭვქვეშაობაში უფრო დიდი სიფრთხილე სჭირს და უფრო ბევრის გაკეთება შეუძლია, ვინც პარლამენტურათ გაწვერთნილ მერობითელს ყრილობაში.

სამწუხაროდ არც აპრილის თვეში, მუთისის, და არც წარსულ კვირაში, ოფილისს, ჩვენი ყრილობის თავ-მჯდომარეებმა ვერ იხმარეს რიგიანათ მათი დიდი უფლება. რომ უფ. ასათიანი მარგათ დასდგომოდა კანონებს და არ დაყოლოდა ხმაურობას—მოვიგონოთ იქედამ თუნდა ეს ერთი ფაქტი— მუთისის თავდა-აზნაურობა არ გამოირიცხავდა მსესხებლებს საზოგადო საქმისთვის გადაღებულ ფულებში მონაწილეობიდან. იმას შეეძლო სრულდებით არ მიეღო ეს კითხვა და ვალი ქონდა დაეხურა თითონ სხდომა, როდესაც ამ ყრილობამ საშეელი არ მისცა და გინდა თუ არა ასე გააკეთო, მოსთხოვა.

წასრულ კვირაში მამა ღამბაშიძემ, სამღვდლოების ყრილობის თავ-მჯდომარე, კიდევ უარესად წაიყვანა ყრილობის საქმე. რომ იმას ცოდნით აღესრულდებინა თავის მოვალეობა, დღეს ჩვენს სასულიერო სემინარიაში ქართული ენის სწავლებას ექნებოდა აღმოჩენილი სამუდამო წყარო; სამღვდლოება არ გამოარდებოდა ერთ-მანერთს.. მაგრამ, სანამ ამაზე ვიტყვოდე, ორიოდ სიტყვა უნდა ვსთქვა მამა ღამბაშიძის თავის გამართლებასზედ გუშინდელს „დროების“ ნომერში.

ი. მუხარბია.

(დასასრული ხვალ)

დღიური

* * * ძველის ნამესტნიკის მთავარ-მამგებობის უფროსი ღენ. სტაროსელსკი ამ დღეებში დაბრუნდა პეტერბურგიდან ოფილისში და დაიწყო თავის თანამდებობის აღსრულება, ტაინი სოვეტნიკის პესჩუროვის მაგიერად.

* * * მკითხველს ეხსოვება, რომ შარშან და შარშანწინ ჩვენებურს გაზეთებში ბევრი ლაპარაკი იყო იმაზედ, რომ ოფილისის სასულიერო სასწავლებელი უნდა დაიკეტოს, რადგან ცოტა შავი რღებები დადიან და სწავლაც ცუდათ მიდისო. მაზეთები ერთხმად აცხადებდნენ მაშინ იმ აზრს, რომ უიმიხთაც ცოტა სასწავლებლებია ჩვენში და დახურვა გახსნილი სასწავლებლისა რიგი არ არისო; კარგად წაიყვანეთ სწავლა, კარგი მასწავლებლები დანიშნეთ და დარწმუნებული იყავით, რომ შავი რღებიც ბლომად იღლიან და სარგებლობასაც მოიტანს ეს სასწავლებელიო.

სასულიერო მთავრობამ მიიღო ეს რჩევა, თუ სხვა რომელიმე მიზეზით, ოფილისის სას. სასწავლებელი არ დახურულა. ახლა ჩვენ გვეჩვენა იქიდან, რომ ჩვენს სასწავლებელში 160-მდინ

შავი რღები დაიარებინა და სწავლაც რიგიანად მიდისო...

* * * სოფ. ბოდბის-ხევილამ (სიონილას უეზდისა) გვეჩვენა, რომ ამას წინათ აქ განშორებული ქორღობა იყო, განსაკუთრებით ხშირად იკარგებოდა ცხენები და შინაური საქონელიო. ამ ქორღობას ერთ „მყირავ“ ბიჭს აბრალდებდნენო. მაგრამ რაკი ის „მყირავი“ ბიჭი დაიჭირეს, მას აქეთ ქათამიც აღარ დაკარგულა ჩვენს სოფელში და მოსვენებით ვცხოვრებთო.

* * * ჩვენ გვთხოვეს მოვავლოთ „საქართველოში წერა-კითხვის ბამაგრცლებელ საზოგადოების“ წევრთა, რომ ამ კვირას, 21 ოქტომბერს, დილის 11 საათზე, ოფილისის თავდა-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის სადგომში იქნება ამ საზოგადოების საზოგადო კრება.

თეატრი

მართული წარმოდგენა

17 დენობისთვის.

ამ ოთხაშაბათა ჩვენმა სამუდამო ტრუპამ წარმოადგინა მედიფარინის ორმოქმედებიანი კომედია „მ მ რ ე ბ ი გ ა ვ ა ბ ი თ მ ა ხ ე შ ი,“ მოლოდინის ერთმოქმედებიანი კომედია „ცოლის შერთვევინება“ და რუსულიდან ნათარგმნი ვოდვეილი „მ ო ტ ი ა.“

თუმცა ზოგიერთი შესამჩნევი ნაკლებევაება ჰქონდა როგორც მთელ წარმოდგენას, აგრეთვე ზოგერთ მოთამაშებებსაც, მაგრამ საზოგადოთ ისე ურიგოთ ამ სადამოს არცერთი პიესა არ წარმოდგენილა, რომ შეიძლებოდეს თქმა—წაახდინესო.

შველანზე უფრო სუსტად, ჩვენის ჰაზრით, პირველი კომედია ითამაშე. ბარდა უფ. მაჩაბლისა, რომელმანც ჩინებულად დაარტისტიულად წარმოგვიდგინა მოხუცი მოარბიყის როლი ერთის გამოსვლით, და ძ. მესხისა, რომელმანც ნამდვილად გამოგვინახა კულაბზიკა იმერელი მოსამაახურე ბიჭი, არც ერთ მოთამაშეს არ ჩაუდგამს სიცოცხლე და სული თავის როლში. აზნაური (უფ. ომამაშვილი) ერთობ სუბტი იყო, სრულებით არ გვანდა ის საზოგადოთ ჩვენებურ აზნაურს და კერძოთ სიყვარულით დახრუკულსა. ამ ჯგრობით უფ. შავარელიც კი ხეირანად ვერ ასრულებდა გლეხის როლს, თუმცა გლეხის როლში ის ყოველთვის კარგია. ამ დამეს ის დალოცვილი როგორღაც ერთობ იგრინებოდა, იკლაკნებოდა. დანარჩენ მოთამაშებებზე შეიძლება მხოლოთ ის ვთქვიოთ, რომ იმათ არ წაუხდენიათ თავიანთი როლები.

„ცოლის შერთვევინებაში,“ ჩვენის

აზრით, მხოლოთ უფ. ასათიანიშვილი იყო კარგი (პანკრასიქის როლის ფილოსოფიის დოქტორი იყო იგივე ძ. შიფიანი (სგანარელი), რომლის თამაშში და პირის-სახის გამოთქმაში დახელოვნებული არტისტი მოჩანდა. მარგათ შეასრულა აგრეთვე თავის როლი მ. აბაშიძისამ (საფაროვისამ). დანარჩენები ისე, ერთრიგათ თამაშობდნენ.

„მოტია“ იმ დღესაც ისე კარგად ითამაშეს, როგორც პირველად. მაგრამ მ. საფაროვის თამაშმა ყველას გადაატარა; ამან სწორეთ ისეთი პროვინციალური ახლგაზდა ქალი გამოგვინახა, რომელსაც ბევრი არა უსწავლია-რა, ბევრი არა უნახავს-რა, გამოუცდელია ცხოვრებაში, გათხოვებას ნატრობს და უბრალოდ, ნაიფურად იქვევა, რომელსაც ცოლქმრობა თამაშობა და სამოთხე ჰკონია, ცხოვრების გზა ვარდით მოფენილ გზათ მიანიდა და სხე ბულ-წრფელი და ხანგრძლივი ტაში ერგო; დაე რგო ღირსეულად, საფაროვის ქალს ჰამ პატარა, ლამაზი როლის ლამაზად შესრულებისათვის. მკუთკოვის როლი უ. ძ. მესხმა ძველებურის ხელოვნებით ითამაშა. ჩვენ არ მოგვეწონა მხოლოთ, რომ ის ერთსადა იძავე ჩამატებულ მახელობას იმეორებს: ეს ლექსები „ოფილისის ობიავლენიაში“ წაიკითხეთ; გამეორებულ ოხუნჯობას ლაზათი აღარა აქვს; მერე უ. აბაშიძე (ქანჭაროვსკი) ამაზე ამბობს, რომ ვითომც საქალგო ქურნალიდამ ამომელოს ეს ლექსები—მამრალგებო! ამისთანა შეუთანხმელობა იქნება! მითი თუ ამბობა „თე. მობიავლენიიდან“ ამოიღეო, მეორეც ამას უნდა ამბობდეს.

თუმცა, როგორც ხევიო მოგახსენეთ, „მოტია“ ახლაც ისე კარგათ ითამაშეს, როგორც პირველად, მაგრამ საზოგადოებამ ამ ჯგრობით თათქო ცოტათი უფრო გულ-გრილად მიიღო ეს ცოცხალა ვოდვეილი. ამის მიზეზი, ჩვენის აზრით, ერთი ის იყო, რომ ბევრს ერთხელ ნახული ჰქონდა სცენაზე ეს პიესა, და მეორეც ის, რომ დაილაღნენ მაყურებლები მთელი სადამო გაუწყნარებელის საცილითა და ტაშის-კვიით...

განსხადებანი

გამგებელი კომიტეტი მუთისის სასწავლებლების ღარიბ მოსწავლეთა შემწეობის საზოგადოებისა აცნობებს უფ. ამ საზოგადოების წევრთა, რომ მიმდინარე ოქტომბრის თვის 21 რიცხვს, დილით ათ საათზე, ქ. მუთისის პროვინციის სადგომზე (ოფილისის ქუჩაზე, ლინჩევკის სახლებში) იქნება მორიგი საზოგადო კრება.

საზოგადო კრების განსახილველი საგნები:

- 1. მოსმენა საზოგადოების მოქმედების წარსული წლის განმავლობაში.
2. განხილვა საზოგადოების ხაზინადრის წლიურის ანგარიშისა.



თავისუფალი ბატონიშვილი

ხუთ-მოქმედებიანი დრამა
ზადმოკეთებული პ. მისისაზან

ამოვიდა და ისყიდება ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ბროშურა

„ჩვენი დევ-გმირები“
(ქართული მწერლების სურათები)
სტეფანე შრელაშვილისა
შასი ერთი აბაზი

(4-4)

გ. ჩარკვიანის

ქართული წიგნის მაღაზიაში,
ქაშვეთის ეკლესიის შენობაში, №1 და
იყიდება შემდეგი ახალი ქართული
წიგნები:

თვალ-სახინო სწავლა ახლად
შესრულის ყმაწვილებისათვის სახალხო
შკოლებში. შედგენილი მიხ. შიჭინაძის
საგან—ფასი 40 კაპ.

ბანჯგელიანი ფუტკარი—
თხ. აგენარიუსისა ნათარ. აღ. აბაზი-
ძესაგან—ფასი 15 კაპ.

გლახის ნამბობი მოთხრობა
ილია შავჭავჭავისა. ზამ. პრ. საფაროვი-
საგან ფასი 25 კაპ.

ჩამდენიმე სურათი ყაჩაღის
ცხოვრები და მკვლელობა ილია
შავჭავჭავისა გადმოგვტ. ყურნ. „ივერი-
იდან“ ფასი 10 კაპ.

ცოლი თუ გინდა ეს არის,
ვოდევილი მასილ აბაშიძისა ფასი 10 კაპ.
და სხვა-და-სხვა ქართული წიგნები.

Въ Тифлисъ. Книжный магазинъ
Григорія Чарквіани въ зданіи Каш-
ветской церкви, № 1 и 2.

ლეღანი

(პროპისი) სურათებით

შედ. ან. ჯულელისაგან

ბამოვიდა და ისყიდება შემდეგ ადგი-
ლებში:

თბილისს: ჩარკვიანის, ვაჟთა-
ვის და შრიქუროვის წიგნის მაღაზიებში,
ქუთაისს: სასულიერო სასწავლე-
ბელში და ანტ. ლორთქიფანიძის ბიბ-
ლიოთეკაში,

სამეგრელოში: სასულიერო სას-
წავლებელში დ. სუჯუნას მოფურძის
ლუქანში და აბაშიში ფუ. ანტ. ქვე-
ლიასთან შკოლაში,

მზურგეთს: სასულიერო სასწავ-
ლებელში,

ხონში: ფუ. ჭალაგანიძესთან,

ზორს: სასულიერო სასწავლებელ-
ში,

თელავს: სასულიერო სასწავლე-
ბელში და ხირსკლოვის წიგნის მაღა-
ზიაში,

სიღნაღს: ფუ. პ. ბლაშვილთან.
შასი ერთის ეგზემპლარიისა აბაზი.

შველა წიგნების მაღაზიებში თფილისში
და ქუთაისში

ისყიდება

3. აღრჩევა გამგებელი კომიტეტის
წევრთა.

4. აღრჩევა მოთვალ-ყურეს კომისი-
ის წევრთა.

5. ბანხილვა საწულებათა და წინა-
დადებათა საზოგადოების მიზნების უკეთ
მიღწევისათვის.

6. ბანხილვა გამგებელი კომიტეტის
წინადადებისა საზოგადოების წესდების
რომელთამე მუხლთა შეცვლაზე და
თვით წესდების შეჩვენაზე.

7. ბანხილვა კითხვებისა საწევრო ფუ-
ლის შემოტანისათვის საზოგადო ერთ-
ნაირი ვადის დადგენაზე.

8. ბანხილვა გამგებელი კომიტეტის
დარიგების (ინსტრუქცია) პროექტისა
და დამტკიცება მისი.

(2-2)

კავკასიის მედიცინის საზოგადო.

მბა აცხადებს, რომ ტაინა სოვეტნიკის
მ. რ. გომბლატის სახელობაზედ ქა-
ლების ბიზნაზიაში დანიშნული სტიპენ-
დია ამ ჟამად თავისუფალია, დაუ-
ჭერელია და ვისაც ამ სტიპენდიის მი-
ღება ჰქურს, შეუძლიან მიმართონ ხე-
ნებულთა საზოგადოების სეკრეტარს ფუ.
ნ. ნ. უშაკოვს. (ძალონიაში, სახლის
№145).

(5-2)

თფილისის ქალაქის გამგებობისაგან

ქალაქის გამგებობა უცხადებს ტრაქ-
ტირებისა, ხარშოვნიკებისა და პასტაი-
ლი დვორების პატრონებს, რომ, თა-
ნახნად ტრაქტირების წესდების § 17
მუხლსა, ისინი ვალდებული არიან ამ
ოქტომბრის (დენობისთვის) განმავლობა-
ში შემოიტანონ ქალაქის გამგებობაში
ხვედრი ფული და მიიღონ ვაჭრობის
უფლებისათვის ჯაროვანი მოწმობა

რბ. ბზა.	დია.	სამ.	II კ.	III კ.
თფილისი	9 21	5 18	8 კაპ. მ.	კაპ.
მცხეთა	10 11	6 27	85	44
ზორი	11 58	9 43	3	153
ხაშური	1 29	11 57	4 73	2 42
სურამი	1 44		4 90	2 61
შეგვილი	5 49		7 21	3 69
რეონი	6 57		8 44	4 31
სამტრედი	7 51		9 66	4 93
ახალ-სენაკი	8 43		10 71	5 47
ფოთი	9 50		12 24	6 26
ფოთი	9	3		
ახალ-სენაკი	10 14		1 53	7 8
სამტრედი	11 5		2 61	1 33
რიონი	12 13		3 84	1 97
შვირილა	1 18	ლაგ.	5 3	2 56
სურამი	5 12		11 07	34 3 74
ხაშური	5 39		1 37	7 51 3 84
ზორი	7 5		4 89	24 4 73
მცხეთა	8 50		6 59	11 39 5 82
თფილისი	9 31		7 56	12 24 6 26

ტელეგრაფი	მან კაპ.	მაზანდა	მან კაპ.
მ. ციციყვა თფილისიდან		თფილისი 9 ოქტომბ.	
კავკასიის აქეთა მხრის ყველა		ფუ. თვ. ბანჯგისა ფუთ.	2 55
ქალაქებში	50	ფუ. წითელი	2 20
როსტოვს, მდესას, მოსკოვს,	2	ჭრა ფუთი	1 40
პეტერბურგს, მარშავს	2	ბაზა შრენისა, ფუთი.	8 65
მსხალეაში, შვეიცარიაში	3	— ამერიკისა, ფუთა	9 30
იტალიაში და საფრანგეთში	3 50	ბანტალი ბაზა ფუთი.	11 70
ინგლისში	3 75	მატული თფიური ფუთი.	8 20
ფონტა		— თრაქამისა ფუთი	3 70
ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ,		აბრეშუმი ნუხური სტ.	2 10
ქუთაისს, რუსეთს—ოველ		ჭონი ფუთი	5 80
და ევროპის გარდა. ზუგდ. ორშ. და		ჭონის სანთელი ფუთი.	7 60
ხუთშ. მზურ.—პარასკ. და ორშ. ქა-		სტეპარანის სანთელი ფ.	11 65
ხეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაი-		— ცხვრისა, ლიტრა	
სიდან: თფილისისა და ფოთისაკენ		სპირტი ვედრო	4 50
ყოველ დღე ევროპის გარდა. მზურ-		შაქარი ბროც. ფუთ.	7 25
გეთს—ოორ. და პარასკ.		— ფხენილი ფუთი	5 70
წიგნის გაგზავნა რუსეთში	კაპ	შვა რევალი გრვ.	— 65
და სამზღვარ გარეთ:		ხეთი ქუნჯუთისა ფუთი.	14
ლა წიგნის	3	მამბ. ქო საშუალო ფთ.	6 70
დაბეჭდვის (სამი მისხალი)	7		